



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ხელმძღვანელობას**

**საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის შედეგების შესახებ**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ ილია ღუდუშაურს

ბატონო ილია,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ნოდარ ჯავახიშვილი

გენერალური აუდიტორის მოადგილე

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	3
1. რეკომენდაციები	4
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	16
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	22
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	23
საკონტაქტო ინფორმაცია	24

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“.

დასაქმების სააგენტო – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

დევნილთა სააგენტო – სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

ინვენტარიზაციის წესი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ.

რეგულირების სააგენტო – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

სააგენტო – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

საგანგებო სიტუაციების ცენტრი – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

შრომის ინსპექცია – სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

ცენტრი – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ჯანმრთელობის სააგენტო – სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

ჰოლდინგი – ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

1. რეკომენდაციები

1.1 კონსოლიდაცია

აუდიტის მიგნება

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული შემოსავლებისა და ხარჯების ოპერაციები ელიმინირდება (გამოირიცხება).¹ სამინისტროს მიერ წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გამოირიცხული/ელიმინირებული ჯგუფის შიგნით – კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციებით წარმოქმნილი შემოსავლები, ხარჯები, ნაშთები. კერძოდ:

- J) ცენტრალური აპარატისა და სააგენტოს მიერ ჰოლდინგთან სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები – 3,779,550 ლარის ოდენობით; ასევე სააგენტოს, ცენტრს, საგანგებო სიტუაციების ცენტრსა და რეგულირების სააგენტოს შორის განხორციელებული 688,484 ლარის ოპერაციები, სულ – 4,468,034 ლარის ოდენობით;
- J) კონსოლიდაციის დროს არ არის ელიმინირებული სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთები – 1,374,692 ლარი.

მიზეზი

კონსოლიდაციის პროცესის შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანება.

გავლენა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში გაზრდილია შემოსავალი და ხარჯი – 4,468,034 ლარით; ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში – 1,374,692 ლარით დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთები.

რეკომენდაცია

სამინისტროს ხელმძღვანელობამ ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა ჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირებას, საბალანსო ერთეულების მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების ურთიერთშედარებას და ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირებას, შედეგად კი, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან წარდგენას.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

1.2 მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 2016 წლამდე წარმოშობილი ხანდაზმული 1,582,804 ლარის დებიტორული დავალიანების ამოღების მიზნით, სამინისტროს მხრიდან არ არის განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებები: არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, არ გაფორმებულა შედარების აქტები, არ არის დადგენილი მათი წარმოშობის საფუძველი და

¹ სსპასს 35, მუხლი 40.

სისწორე, დაკმაყოფილებულია² თუ არა აქტივად აღიარების კრიტერიუმები³ და არ არის შეფასებული დავალიანების დაფარვის ალბათობა.⁴

ასევე: ბალანსში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიან მოთხოვნებში ასახულია 2007-2019 წლებში ინვენტარიზაციების შედეგად წარმოშობილი არაფინანსური აქტივების დანაკლისი 1,015,734 ლარის ოდენობით. დანაკლისის აღდგენისთვის გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები და მათზე რეაგირების მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია, სამინისტრომ ვერ წარმოადგინა.⁵

ცენტრალური აპარატის და სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში აღრიცხულია 2006 წლიდან 2020 წლის ჩათვლით პერიოდში 1,385 ფიზიკური პირის⁶ მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, სულ – 20,719,494 ლარი. სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება თანხის გადარიცხვის მომენტში და მისი ჩამოწერის საფუძველი არის ბენეფიციარის ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ორგანიზაციებში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია და დავალიანებები არ არის შეფასებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.⁷

ცენტრალურ აპარატში წლის ბოლოს აღრიცხული 84,345,630 ლარის მოთხოვნების ნაშთის⁸ დასადასტურებლად დებიტორთა რეესტრიდან შეირჩა 18 ორგანიზაცია, რომელთა მიმართ დავალიანება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 79,251,333 ლარს, საიდანაც 66,723,198 ლარი წარმოშობილია საანგარიშო წელს წინასწარი გადახდების შედეგად. დასტურის წერილებით და აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული ალტერნატიული პროცედურებით დადასტურებულია 3,305,937 ლარის⁹ დებიტორული დავალიანება.

სააგენტოში ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში¹⁰ წლის ბოლოს აღრიცხულია 5,942,335 ლარის დავალიანება, რომელიც მოიცავს 1,502,918 ლარის სახაზინო ნაშთს, რაც დადასტურდა შესაბამისი ამონაწერებით; ნაშთი მოიცავს ასევე: გადასახადებიდან, ორგანიზაციაში მომუშავეების მიმართ, ფიზიკური პირების და ა.შ. დავალიანების თანხებს; დარჩენილი 2,829,464 ლარის¹¹ დებიტორების რეესტრიდან ნაშთის დადასტურების მიზნით შეირჩა 9 ორგანიზაცია – 2,371,995 ლარის ოდენობის დავალიანებით, რომელთა არსებითი ნაწილი წარმოქმნილია

² ორგანიზაციების ნაწილი ლიკვიდირებულია, ზოგიერთის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმისწარმოება და ა.შ.

³ სსპს 1, მუხლი 7.

⁴ ინვენტარიზაციის წესი, მუხლები: 2 და 11.

⁵ ინვენტარიზაციის წესი, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁶ ცენტრალურ აპარატში 2006-2010 წლამდე პერიოდში - 100 ფიზიკური პირი, თანხით - 2,024,026 ლარი და სააგენტოში 2010 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში - 1,285 ფიზიკური პირი, თანხით - 18,695,468 ლარი.

⁷ ინვენტარიზაციის წესი, მუხლები: 2 და 11.

⁸ „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ და „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლები.

⁹ 2,949,335 + 356,602.

¹⁰ შენიშვნა N2a.

¹¹ აღნიშნული თანხა არ მოიცავს გადასახადებით და ფიზიკური პირების მიმართ წარმოქმნილ თანხას.

წინა წლებში. პასუხი მიღებულია მხოლოდ 2 ორგანიზაციისგან და ისინი არ ადასტურებენ 1,357,764 ლარის დავალიანებას.

ცენტრის ბალანსში „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლში ასახულია 15,102,049 ლარის მოთხოვნები, საიდანაც 110,366 ლარი გასულ წლებში გამოვლენილი დანაკლისებია; 14,991,683 ლარის ნაშთის დადასტურების მიზნით დებიტორთა რეესტრიდან შეირჩა 15 ორგანიზაცია, რომელთა მიმართ დავალიანება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 14,973,079 ლარს; მიღებული დასტურის წერილების მიხედვით, დასტურდება 1,267,732 ლარის დავალიანება, ხოლო 2 ორგანიზაცია¹² არ აღიარებს 131,839 ლარის დავალიანებას; ალტერნატიული პროცედურებით დადასტურებულია 4,135,320 ლარის ნაშთი. 9,482,229 ლარის დებიტორული დავალიანების შესახებ დასტურის წერილი შესაბამისმა ორგანიზაციამ¹³ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა; დავალიანება წარმოშობილია 2013 წლის მემორანდუმის ფარგლებში ცენტრის მიერ წლების განმავლობაში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი რუტინული ვაქცინებისა და სახარჯი მასალების (შპრიცები, უსაფრთხო ყუთები) შესასყიდად ავანსად გადარიცხული თანხების მიხედვით.

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 27,850,373 ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 8,233,363 ლარი არის 2010 წლამდე წარმოქმნილი გაურკვეველი დავალიანება; მათი წარმოშობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა და არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე. დავალიანების ნაშთების დასადასტურებლად კრედიტორთა რეესტრიდან შეირჩა 15 ორგანიზაცია, რომელთა მიმართ დავალიანება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 17,814,957 ლარს. აქედან, არსებითი ნაწილი¹⁴ წინა, 2003-2008 წლებშია წარმოშობილი, რომლებთანაც წლის ბოლოს არც შედარების აქტებია გაფორმებული და ასევე არ არის განხორციელებული ინვენტარიზაცია. დავალიანებების ხანდაზმულობის მოტივით შერჩეულ ორგანიზაციებთან არ არის გაგზავნილი დასტურის წერილები. აუდიტის ჯგუფის მიერ ალტერნატიული პროცედურებით დადასტურებულია 2 ორგანიზაციის დავალიანება – 6,987,896 ლარის ოდენობით.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა და კონტროლის სისუტე; ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობა და მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა.

გავლენა

ზემოაღნიშნული საკითხები – გაზრდილად წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები ზრდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მხრიდან როგორც ორგანიზაციის მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების, ასევე აქტივების მართვის ხარისხის და რესურსების გამოყენების არასწორი შეფასების რისკებს.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, ურთიერთშედარების

¹² ცენტრალური აპარატი - 82,550 ლარის დავალიანებას საერთოდ არ აღიარებს, NCDC and Prevention SNCO of the Ministry of Health-ისადმი აღრიცხული 93,331 ლარიდან აღიარა 44,042 ლარი.

¹³ გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).

¹⁴ 8,430,119 ლარი.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

1.3 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება

აქტების გაფორმებას, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ცენტრალური აპარატი, სააგენტო და ცენტრი.

ცენტრი იყენებს მარაგების მართვის და აღრიცხვის ელექტრონულ სისტემას – სასაწყობო/ლოჯისტიკურ მოდულს. აღნიშნული სისტემა არ არის ინტეგრირებული ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის რეგისტრებთან და, ამასთანავე, ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ მარაგები არ აღირიცხება აღნიშნულ სისტემაში. ხარჯად აღიარებული და ჩამოწერილი მარაგების პირველადი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა:

-) ცენტრის მიერ სააღრიცხვო რეგისტრებში შეცდომის შედეგად, მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული,¹⁵ ანგარიშზე ზედმეტადაა აღიარებული ხარჯად 3,961,900 ლარის¹⁶ ღირებულების ჩამოწერილი მარაგები;¹⁷
-) სხვადასხვა დასახელების მარაგები კი, 2,152,026 ლარით¹⁸ ნაკლები ოდენობით არის ჩამოწერილი და ხარჯად აღიარებული.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 1,809,874 ლარით¹⁹ შემცირებულია „მატერიალური მარაგების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთი და იმავე თანხით გაზრდილია საანგარიშო წლის ხარჯი.

2020 წელს ცენტრში ჩატარებულია მარაგების ფაქტობრივი აღწერა, რომელთა შესაბამისად წარმოდგენილ რეესტრებში არ არის გამოყვანილი შედეგი – სხვაობა ფაქტობრივსა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის.

ბალანსში ასახული მარაგების ნაშთებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, აუდიტის პროცესში გამოთხოვილ იქნა მარაგების მართვის მოდულიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთების შესახებ ინფორმაცია/რეპორტი. ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების²⁰ შესაბამისად, ნაშთის სახით აღრიცხულია 4,767,660 ლარის მარაგი; ვინაიდან საბუღალტრო რეესტრებში მარაგები ხარჯად აღიარდება ჯამურად, ვერ ხერხდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებში სახეობების მიხედვით ჩამოწერილი მარაგების იდენტიფიცირება.

ცენტრალური აპარატის მიერ საანგარიშო წელს არ არის ჩატარებული აქტივების ინვენტარიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მატერიალური მარაგების“ მუხლში ასახული ცენტრის –

¹⁵ N5-73-1000 ანგარიში.

¹⁶ გაცემის ზედდებული N2951, 29.10.2020 წ. - 440,213 ლარის ნაცვლად, 4,402,113 ლარის მარაგები.

¹⁷ N1-14-1110-15 ანგარიში.

¹⁸ 19 გაცემის ზედდებულის მიხედვით: N462-დან 468-ის ჩათვლით; N470, N471, N473, N475-დან 479-ის ჩათვლით; N481-დან 484-ის ჩათვლით.

¹⁹ (4,402,113 ლარი - 440,213 ლარი) = 3,961,900 ლარი - 2,152,026 ლარი = 1,809,876 ლარი.

²⁰ ელვერსიები MS Excel-ის ფორმატში.

მიზეზი	52,381,494 ლარის ²¹ და ცენტრალური აპარატის – 11,246,412 ლარის, ჯამში – 63,627,906 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.
გავლენა	მარაგების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.
რეკომენდაცია	შემცირებულად წარდგენილი მარაგების საბოლოო ნაშთი; მარაგების აღრიცხვას, კონტროლსა და დაცულობასთან დაკავშირებული რისკები.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია	შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური მარაგების სათანადო აღრიცხვას, ასევე მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომების რისკს.
შესასრულებლად	ცენტრი და ცენტრალური აპარატი.

1.4 გრძელვადიანი აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში იდენტიფიცირებულია ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ისეთი აქტივები, რომლებიც არ არის შეფასებული და ძირითადი აქტივების ანგარიშზე ასახული:
	- სააგენტოსთვის 2018-2020 წლებში უზუფრუქტის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაცემული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ძირითადი აქტივები; 2020 წლის 1 იანვრიდან საგანგებო სიტუაციების ცენტრი დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელების მიზნით იყენებს იმ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს, რომლებიც არსებობის ვადით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრზე,²² რომლის უფლებამონაცვლეა რეორგანიზაციის შემდეგ ყველა სახის ურთიერთობაში. ქ. თბილისის 19 სხვადასხვა უბანში განთავსებული აქტივები ბალანსში შესაბამის მუხლებზე ასახული არ არის.

ცხრილი N1. ინფორმაცია აღურიცხველი გრძელვადიანი აქტივების შესახებ (კვ. მ)

ორგანიზაციის დასახელება	შენობა-ნაგებობა	მიწა
საგანგებო სიტუაციების ცენტრი	4,352	4,200
სააგენტო	30	4,159
სულ:	4,382	8,359

ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, „ძირითადი აქტივების“ მუხლიდან ჩამოწერილია და საცნობარო ანგარიშზე ასახულია საანგარიშო წელს სრულად ამორტიზებული 320,626 ლარის ისტორიული ღირებულების აქტივები, რომლებიც ისევ იყო ექსპლუატაციაში. სსბასს 17-ის²³ შესაბამისად, აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების

²¹ 54,191,368 ლარი - 1,809,874 ლარი = 52,381,494 ლარი.

²² 2019 წლის 18 ოქტომბერი, N5204-11. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების შედეგად, ქ. თბილისის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი რეორგანიზაციის შემდეგ მიუერთდა საგანგებო სიტუაციების ცენტრს.

²³ სსბასს 17, მუხლი 67.

ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება,²⁴ რაც განხორციელებული არ არის.

მიზეზი

ძირითადი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზები, ასევე მათ მართვასთან, მათ შორის, შეფასებასა და გადაცემასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები; სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში მიწა, შენობა-ნაგებობები წარმოდგენილია შემცირებულად.

რეკომენდაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში ზემოაღნიშნული გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი მუხლების აღრიცხვის სიზუსტისა და სისრულის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს ფაქტობრივ მფლობელობაში ღირებულების გარეშე არსებული აქტივების და ასევე იმ ამორტიზებული აქტივების, რომლებიც აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს, შეფასება და აღრიცხვა.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

1.5 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღარ გამოიყენება და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.²⁵ აღნიშნულის შედეგად, **125,777 ლარის** ოდენობით გაზრდილია „არამატერიალური აქტივების“ და „გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის“ საბოლოო ნაშთები.

სსბასს 31-ის მიხედვით²⁶ უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები; კერძოდ, უნდა დადგინდეს, სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, თუ განუსაზღვრელი, რადგან განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება.²⁷

ცენტრალური აპარატისა და სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს არ არის გამოყენებული სსბასს 31-ის ზემოაღნიშნული მითითებები; არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი²⁸ და ყველა აქტივის მიხედვით დარიცხულია ამორტიზაციის 10%-იანი განაკვეთი.

²⁴ სსბასს 3-ის - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები.

²⁵ სსბასს 31 - არამატერიალური აქტივები, მუხლები: 25 და 26.

²⁶ სსბასს 31 - არამატერიალური აქტივები, მუხლი 87.

²⁷ სსბასს 21, მუხლი 26.

²⁸ სსბასს 21, მუხლი 26 და სსბასს 26, მუხლი 25.

მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა; კონტროლის სისუსტე.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების – „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციებმა არამატერიალური აქტივები დააკლასიფიცირონ როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივებად და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატარონ გაუფასურების ტესტირება. ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს მოცემული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ცენტრალური აპარატი და სააგენტო.
1.6 შემოსავლები	

აუდიტის მიგნება

ცენტრი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, გრანტის სახით მიღებული თანხების შემოსავალში აღრიცხვას ახორციელებს საკასო მეთოდით, თანხების ჩარიცხვისთანავე.

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, „მიზნობრივი გრანტების/ტრანსფერების აღსარიცხავად დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება, თუ შემოსავლის მიღების ოპერაციის დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სავალდებულო მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული“.²⁹ დაშვებული გამონაკლისით სარგებლობა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ განმარტებულია ის გარემოება, რამაც გამოიწვია სტანდარტების ზოგადი ნორმიდან გადახვევა.³⁰ განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული და დასაბუთებული სამართლიანი წარდგენის მიზნებისათვის სსბასს-ის ამ მოთხოვნიდან გადახრის³¹ გამომწვევი გარემოებები.

ამასთანავე, ორგანიზაციამ, რომელიც ამზადებს და წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისთვის უნდა გამოიყენოს სტანდარტი,³² რომლის მიხედვით გრანტის სახით არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარების დრო, შესაბამისი ხელშეკრულებების პირობების ხასიათით და მათი შესრულებით განისაზღვრება; თუ პირობის კონკრეტული მოთხოვნაა, ერთეულმა მესამე მხარეები საქონლით, ან მომსახურებით უზრუნველყოს, მოხმარება განახორციელოს დანიშნულებისამებრ მიზნობრივად ან აუთვისებელი სახსრები დაუბრუნოს ტრანსფერის განმახორციელებელ ერთეულს, შემოსავლის აღიარება ხდება საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების

²⁹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 10, პუნქტი 33.

³⁰ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1.

³¹ სსბასს 1, პუნქტი 135.

³² სსბასს 23.

შემდეგ.³³ აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც მიმღები თავდაპირველად აღიარებს აქტის, რომელიც პირობას ექვემდებარება, მიმღები ამავდროულად იღებს ვალდებულებასაც,³⁴ ხოლო მისი შესრულების შემდეგ, მან უნდა შეამციროს აღიარებული ვალდებულების მიმდინარე საბალანსო ღირებულება და აღიაროს ამ შემცირების ტოლი თანხა შემოსავალში.³⁵

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ცენტრის მიერ საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული სახსრების ხარჯვა ეფუძნება გარკვეულ პირობებს, რომლის შესრულების პროცესზე ხორციელდება მუდმივი დაკვირვება, მონიტორინგი (ხშირ შემთხვევაში აუდიტის გზით) და მიღებული აქტივები მოიხმარება დანიშნულებისამებრ, მიზნობრივად; ასევე: ცენტრში არ არსებობს შეთანხმებების დარღვევის წარსული გამოცდილება; დარჩენილი აუთვისებელი თანხების განკარგვის საკითხებს წყვეტს გრანტის გამცემი,³⁶ წარმოდგენილი პირობები კი აკმაყოფილებს შემოსავლების აღიარების დარიცხვის მეთოდის კრიტერიუმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის მიერ არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გრანტის მიღება) მიღებული შემოსავლების აღიარების საკასო მეთოდი ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპებს; კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სავალდებულო მოთხოვნებიდან გამონაკლისი/გადახრა არ არის დასაბუთებული.

ცენტრალური აპარატის შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის³⁷ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევებში ოქმებით ფინანსური ჯარიმების დაკისრება საანგარიშო წელს ხდებოდა ორი მიმართულებით:

- 1) „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის;
- 2) კოვიდრეგულაციების დარღვევების ფაქტებზე, იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N322 დადგენილების შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული დაკისრებული ჯარიმების შესაბამისად, სულ – 420,200 ლარის მოთხოვნები³⁸ და 772,700 ლარის შემოსავლები – სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით.

მიზეზი

არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების დარიცხვის მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები. სამინისტროში არ არის შემუშავებული ჯარიმების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

³³ სსბასს 23, პუნქტი 47.

³⁴ სსბასს 23, პუნქტი 17.

³⁵ სსბასს 23, პუნქტი 45.

³⁶ სსბასს 23, პუნქტები: 21, 22 და 23.

³⁷ 2021 წლიდან – შრომის ინსპექციის მიერ.

³⁸ 2020 წლის გადახდების გათვალისწინებით.

გავლენა**რეკომენდაცია****კომპონენტები, რომლებზეც****გაიცა რეკომენდაცია****შესასრულებლად****1.7 განმარტებითი შენიშვნები****აუდიტის მიგნება**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შემოსავლების მუხლების სისრულისა და სიზუსტის რისკები.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციებმა არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების სახით თითოეული ხელშეკრულების პირობების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად მათი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა განახორციელონ სსბასს-ების მითითებებით დარიცხვის მეთოდის შესაბამისად; სამინისტრომ შეიმუშაოს შემოსავლების, მათ შორის, ჯარიმების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ცენტრალური აპარატი და ცენტრი.

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ:

დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის მოთხოვნათა – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნების“ შესაბამისად.

განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.³⁹

სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,⁴⁰ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.⁴¹ სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, არ ხდება მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასება და ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე ასახვა. საანგარიშო წელს წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებსა და საცნობარო ანგარიშებზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სასამართლოში წარმოებული საქმეების შესახებ, ასევე მათი პირობით აქტივებსა და პირობით ვალდებულებებზე აღრიცხვის საკითხები. კერძოდ:

) **ცენტრალური აპარატის** მიერ წარდგენილი საცნობარო ანგარიშები სრულყოფილად არ ასახავს ინფორმაციას მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ; პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღრიცხვის აღნიშნული ნაკლოვანება გამოწვეულია იმით, რომ საქმეები ეფუძნება შეფასებებს, რომელიც მოითხოვს შესაბამის კომპეტენციას და ამასთან

³⁹ სსბასს 20, მუხლები: 27 - 41.

⁴⁰ სსბასს 1, მუხლი 27.

⁴¹ სსბასს 19.

ერთად, საფინანსო სამსახურმა ზოგიერთ საქმესთან დაკავშირებით ვერ შეძლო თანხების ზუსტი ოდენობის იდენტიფიცირება; ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოწერილი და გასაჩივრებული 1,087,300 ლარის სამართალდარღვევის ოქმების შესახებ, საიდანაც 251,300 ლარი შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის, ხოლო – 836,000 ლარი, კოვიდრეგულაციების დარღვევისთვის დაკისრებულ ჯარიმებზე გასაჩივრებული და საანგარიშო წლის ბოლოს სასამართლოში მიმდინარე საქმეები იყო; 2021 წლის სექტემბრიდან⁴² პირები კოვიდრეგულაციებით განსაზღვრული წესების დარღვევისთვის გათავისუფლდნენ დაკისრებული ჯარიმებისგან, მათ შორის, აღსრულების ეროვნულ ბიუროში მიქცეული საქმეების შესაბამისად;

-) 2018 წლიდან **ცენტრის** წინააღმდეგ მიმდინარეობს⁴³ სამოქალაქო საქმე,⁴⁴ რომლის შესაბამისად დავის საგანია ზიანის ანაზღაურება 100,000 ლარის ოდენობით; აღნიშნული ინფორმაცია არ არის გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში.

დებიტორული დავალიანებები

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული დებიტორული დავალიანებებიდან 14,277,211 ლარი, რაც მთლიანი დავალიანებების 17%-ია, წარმოქმნილია 2018 წლამდე; აქედან, დებიტორი ორგანიზაციების ნაწილი არ არის იდენტიფიცირებადი, ზოგიერთ მათგანში ჩატარდა რეორგანიზაცია ან დაწყებულია ლიკვიდაციის პროცესი და ზოგიც – ლიკვიდირებულია.

აღნიშნული არ არის ასახული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მოკლევადიან მოთხოვნებთან.

მართვაში მყოფი საწარმოები

საანგარიშო წელს დაფუძნდა⁴⁵ ჰოლდინგი და დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილების განხორციელება დაევალა სამინისტროს. საქართველოს მთავრობის განკარგულებით⁴⁶ ჰოლდინგს არსებობის ვადით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად, პირდაპირი გადაცემის ფორმით, მართვის უფლებით გადაეცა:

-) შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ 100%-იანი წილი;
-) შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ 100%-იანი წილი;
-) სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ აქციათა 100%.

⁴² საქართველოს კანონი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“.

⁴³ აუდიტის მიმდინარეობისას გასაჩივრებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

⁴⁴ სარეგისტრაციო ნომერი: N2580373; საქმე N2/23711-18 - თბილისის საქალაქო სასამართლო.

⁴⁵ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 24 იანვრის N1/1-454 ბრძანება.

⁴⁶ 2020 წლის 6 თებერვლის N222 განკარგულება.

განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია ჰოლდინგის მართვაში მყოფი საწარმოების შესახებ.

მიზეზი

არასრულყოფილი კონტროლი; ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა; არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი ყველა საჭირო ინფორმაციით; ასევე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოთხოვნების და ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების არასამართლიანი წარდგენა.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს დროული და ფორმალიზებული კომუნიკაცია საფინანსო და იურიდიულ სამსახურებს შორის, შეფასდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და, შესაბამისად, აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები. ცენტრალური აპარატი და ცენტრი.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

1.8 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა,⁴⁷ რომლის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციებსა და წესებს შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: სასამართლოში გასაჩივრებული საქმეების მიხედვით წარმოშობილი მოთხოვნები/ვალდებულებები, პირგასამტეხლოები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, სანქციებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები და ასევე სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საკითხები.

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის გამოყენება (მაგალითად, სააგენტო სასამართლოში წარმოებული საქმეების მიხედვით მოთხოვნებს აღიარებს დებიტორული დავალიანებების საბალანსო მუხლში, ხოლო ზოგიერთი დაქვემდებარებული ორგანიზაცია საცნობარო ანგარიშზე – „პირობითი აქტივად“. ყველა შემთხვევაში სანქციებიდან და ჯარიმებიდან დარიცხული შემოსავლები ანგარიშგებაში არ არის აღიარებული შემოსავლად და სხვ.).

სამინისტროს განმარტებით, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება დაგეგმილია 2021 წლის ბოლომდე.

მიზეზი

არ არის შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

⁴⁷ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5, „ა“ ქვეპუნქტი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები; ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება ფინანსურ ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა ცენტრალურ აპარატთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკისა და განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას; ასევე, მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებას.

კომპონენტები, რომლებზეც

სამინისტრო.

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლში აღრიცხულია ჰოლდინგის მიმართ 350,000 ლარის მოთხოვნა, რომელიც გადარიცხულია მის მმართველობაში შემავალ შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკისთვის“ გადაცემის მიზნით. ჰოლდინგმა თანხის მიღების დღესვე (იმავე თარიღით) გადარიცხა იგი დანიშნულებისამებრ და ჩამოწერა ვალდებულება. შედეგად, კონსოლიდირებულ ბალანსში **350,000 ლარით** გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი.

სააგენტომ, 2020 წელს რეგულირების სააგენტოს მიერ გამოცემული რევიზიის აქტით, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის დაკისრებული 27,461 ლარის ფინანსური სანქცია⁴⁸ აღიარა ანგარიშგებაზე – „მოკლევადიანი მოთხოვნები“ და „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“. ამავე წელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული აქტი გაუქმდა/ზათილად იქნა ცნობილი,⁴⁹ რაც აღარ აისახა სააღრიცხვო რეესტრებში. შედეგად, კონსოლიდირებულ ბალანსში **27,461 ლარით** გაზრდილია მოთხოვნების ანგარიშის საბოლოო ნაშთი და შემოსავლები ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული რეგულირების სააგენტოს მიერ 2020 წელს ჯანდაცვის პროგრამების გეგმური და არაგეგმური რევიზიისა და კონტროლის აქტების შესაბამისად დაკისრებული 271,275 ლარის ფინანსური ჯარიმები; ასევე – რევიზიისა და კონტროლის აქტების საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებების მიერ 81,630 ლარის უკან დასაბრუნებელი/აღსადგენი თანხები, რომელიც ფაქტობრივ ხარჯში აღიარებულია წინა წლებში და საანგარიშო წელს არ არის აღრიცხული აქტების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი – 84,904 ლარი. შედეგად, წარდგენილ ბალანსში შემცირებულია **268,001 ლარით** „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლის და „გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის“ საბოლოო ნაშთები, ხოლო ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში შემცირებულია შემოსავალი.

სააგენტოსა და ცენტრის ბალანსებში ასახული საგადასახადო აქტივების/მოთხოვნების საბოლოო ნაშთები ნაკლებია გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემების მიხედვით არსებულ ნაშთზე **64,368 ლარით**.⁵⁰

ცენტრმა არამატერიალური აქტივის – MICORMAIN-ის პროგრამის ლიცენზია და პროგრამულ-ტექნიკური მხარდაჭერა 3-წლიანი პერიოდით შესაძენად წინასწარ გადახდილი 44,427 ლარი, აღიარა ხარჯად;⁵¹ შედეგად, კონსოლიდირებულ ბალანსში შემცირებულია „სხვა მოკლევადიანი

⁴⁸ N487-71, 25.05.2020 წელი.

⁴⁹ 2020 წლის 14 ივლისის N02/8777 გადაწყვეტილება.

⁵⁰ სააგენტო - 54,001 ლარი, ცენტრი - 10,367 ლარი.

⁵¹ აქტივის მოქმედების ვადა ძალაში შედიოდა 01.01.2021-დან და მოქმედებდა 31.12.2023 წლის ჩათვლით.

(მიმდინარე) აქტივების“ მუხლი და გაზრდილია ხარჯები – **44,427 ლარის** ოდენობით.⁵²

საგანგებო სიტუაციების ცენტრი 2020 წლიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სამართალმემკვიდრეა.⁵³ საგანგებო სიტუაციების ცენტრის ბალანსის „მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების“ საბოლოო ნაშთში არ არის ასახული 2017-2020 წლებში შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სასარგებლოდ დებიტორული დავალიანების სახით დარიცხული თანხები – **36,472 ლარის** ოდენობით.⁵⁴

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ბალანსების გაერთიანებისას დაშვებული შეცდომის შედეგად, გაზრდილად არის წარდგენილი „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ მუხლი – **949,505 ლარით**; ასევე, იმავე თანხით არის შემცირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში – „შემოსავლები გრანტებით“ და კაპიტალის – „გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის“ ანგარიში.

საგანგებო სიტუაციების ცენტრის ბალანსის „კრედიტორული დავალიანების“ მუხლში, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ კრედიტორულ დავალიანებას, საანგარიშო წლის საწყის ნაშთში არ არის ასახული 3,640,138 ლარის ვალდებულება, რომელიც გადმოეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შემდეგ, რის შედეგად, ბალანსში შემცირებულია „კრედიტორული დავალიანებების“ და „ძირითადი აქტივების“ მუხლების საწყისი ნაშთი – 3,640,138 ლარის ოდენობით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ცენტრალური აპარატი, სააგენტო, ცენტრი და საგანგებო სიტუაციების ცენტრი.

2.2 მარაგების აღრიცხვის არასწორი პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

საანგარიშო პერიოდში **ცენტრალური აპარატის** მიერ გადასაცემად გამიზნული მარაგების და სხვა აქტივების ძირითადი ნაწილი შეძენილია უცხოური ორგანიზაციების ან ქართული საწარმოებისგან, რომელთა მიხედვით ხელშეკრულებები გაფორმებულია უცხოურ ვალუტაში. ხელშეკრულებების პირობები ითვალისწინებდა საქონლის მოწოდებამდე ავანსის სახით თანხის ნაწილის გადარიცხვას. ცენტრალური აპარატის სააღრიცხვო რეგისტრების შესაბამისად, ავანსად შეძენილი მარაგი მიღებისას, ბალანსზე ასახულია შეძენის დღისთვის არსებული სავალუტო კურსით და არა ავანსის გადარიცხვის დროს დაფიქსირებული კურსით. 2020 წელს შეძენილი მარაგების ძირითადი

⁵² მოხსენებითი ბარათი N23345, 10.12.2020 წ.; მიღება-ჩაბარების აქტი N12ა, 10.12.2020 წ.

⁵³ 2019 წლის 18 ოქტომბერს N5204-III საქართველოს ორგანულ კანონში – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ქ. თბილისის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი რეორგანიზაციის შედეგად მიუერთდა საგანგებო სიტუაციების ცენტრს.

⁵⁴ 7 იურიდიული და ფიზიკური პირის მიმართ.

ნაწილი განკარგვისა და ხარჯვის მიზნით გადაცემულია სხვადასხვა ორგანიზაციაზე.

ზემოაღნიშნული სააღრიცხვო ნაკლოვანების გათვალისწინებით, გადასაცემად გამიზნული აქტივების დარჩენილი ნაწილის მიხედვით, „მატერიალური მარაგების“ საბოლოო ნაშთი 9,307 ლარით გაზრდილად არის ასახული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში და იმავე თანხით შემცირებულია „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლი – მოთხოვნები ავანსებიდან.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ცენტრალური აპარატი.

2.3 გრძელვადიანი აქტივები

აუდიტის მიგნება

სააგენტოს მხრიდან არ დაკორექტირდა „ძირითადი აქტივების“ – არასაცხოვრებელი შენობების ანგარიშზე აღრიცხულ აქტივებზე 2019 წელს არასწორად დარიცხული ცვეთა.⁵⁵ შედეგად, **136,095 ლარით** შემცირებულია ბალანსის „ძირითადი აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი და გაზრდილია დაგროვილი ცვეთა.

სააგენტოს ბალანსში აღრიცხული 1,500 კვ.მ მიწა, რომელზედაც სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიხედვით არ არის რეგისტრირებული საკუთრების/სარგებლობის უფლება და არც ფაქტობრივად სარგებლობს.⁵⁶ შესაბამისად, **22,500 ლარით** გაზრდილი ოდენობით არის წარდგენილი „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი.⁵⁷

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო.

2.4 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

რეგულირების სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში გამოცემული რევიზიის აქტი, რომლითაც ორგანიზაციას განესაზღვრა 10,177 ლარის ფინანსური სანქცია, სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა იმავე წელს. **სააგენტომ** აქტის გამოცემისთანავე სააღრიცხვო რეგისტრებში აღიარა მოთხოვნა და შესაბამისი შემოსავალი – შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით, თუმცა აქტის ბათილად ცნობის შედეგად, ნაცვლად 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლების კორექტირებისა, დააკორექტირა წმინდა კაპიტალი. ასევე, 2019 წლის მომსახურების შედეგად წარმოშობილი სააგენტოსა და ცენტრის შორის⁵⁸ ხელშეკრულების ფარგლებში 38,779 ლარის შემოსავლები, აღიარებულია საანგარიშო წელს. შედეგად, გაზრდილია პერიოდის შემოსავლები **48,956 ლარით**.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო.

⁵⁵ 1%-ის ნაცვლად 1,7%-იანი განაკვეთით.

⁵⁶ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ცაგერის რაიონული სამსახური - მისამართი: რუსთაველის ქ. N59, საკადასტრო კოდი: 89.03.23.004.

⁵⁷ სსბასს 17, მუხლი 14.

⁵⁸ კულმონოლოგიური მომსახურება.

აუდიტის მიგნება

სააგენტოს მიერ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში „სოციალური დახმარების“ მუხლით ხარჯი 1,440,554 ლარის ოდენობით შემცირებულად არის წარდგენილი. აქედან, 1,113,436 ლარი სხვადასხვა სოციალური პაკეტის ფარგლებში უკან დაბრუნებული თანხებია, რომლებიც ხარჯად აღიარებული იყო 2019 წელს, ხოლო საანგარიშგებო პერიოდში 327,118 ლარით შემცირდა გასულ წლებში შეცდომით დუბლირებული ხარჯი; შედეგად, ნაცვლად კაპიტალის ანგარიშის კორექტირებისა, **1,440,554 ლარით** შემცირებულია საანგარიშო წლის ხარჯი.

სააგენტომ 2020 წელს ხარჯად აღიარა 2019 წელს პროგრამის – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ ფარგლებში გახარჯული **187,722 ლარის** ღირებულების სამკურნალო მასალები; შესაბამისად, აღნიშნული თანხით გაზრდილია წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის „სოციალური დახმარების“ მუხლით გაწეული ხარჯი.

2020 წელს **ცენტრმა** განახორციელა გრანტის სახით შესაბამისი ხელშეკრულებების მიხედვით გლობალური ფონდისგან⁵⁹ გასულ წლებში მიღებული 337,299 ლარის აუთვისებელი თანხების დაბრუნება:

ცხრილი N2. საგრანტო ხელშეკრულებების მიხედვით უკან დაბრუნებული თანხები (ლარი)

პროექტის დასახელება	გრანტის ხელშეკრულება	დაბრუნებული თანხა
TB 1248	GF-T/SSP/G-608/1 (168511.30 \$)	11,619
TB 1248	UNOPS - 8838 1777.52 \$ * 3.0672 21.07.2020	5,452
HIV 1149	UNOPS - 8839 1315.41 \$ *3.0672 21.07.2020	4,035
TB 1248	GF0T/SSP/G-666 (512976.13\$*2.8225)	316,193
		337,299

აღნიშნული თანხა ცენტრის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ხარჯად და ასახულია ბალანსის – ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების ხარჯების – „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ მუხლში, ნაცვლად კაპიტალის – „გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის“ ანგარიშის კორექტირებისა. შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში **337,299 ლარით** გაზრდილი ოდენობით არის წარდგენილი ხარჯი მუხლით – „გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები“.

ცენტრის სააღრიცხვო რეგისტრებში მუხლით – „საქონელი და მომსახურება“ ხარჯად აღიარებული 128,400 ლარი,⁶⁰ რომელიც პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების შესაბამისად, დარიცხვის პრინციპიდან გამომდინარე,

⁵⁹ აივ ინფექციასთან/შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი.

⁶⁰ 2020 წელს სააღრიცხვო რეგისტრების მიხედვით, 128,400 ლარის ხარჯი აღიარებულია 13-ჯერ.

მიეკუთვნება 2019 წლის დეკემბერში გაწეული მომსახურების ანაზღაურებით წარმოქმნილ ხარჯს.⁶¹ ასევე, არამატერიალურ აქტივებზე 43,293 ლარით გაზრდილი ოდენობით არის დარიცხული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები, რადგან იმ არამატერიალურ აქტივებზე, რომელთა მიმართ საანგარიშო წელს დადგინდა ახალი სასარგებლო მომსახურების ვადები, ამორტიზაციის წლიური თანხა დაანგარიშებულია საწყისი ისტორიული ღირებულების და არა საანგარიშო წლის დასაწყისში არსებული საბალანსო ღირებულების მიხედვით. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში **171,693 ლარით** გაზრდილია საანგარიშო წლის ხარჯების აღნიშნული მუხლები.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო და ცენტრი.

2.6 კლასიფიკაცია

აუდიტის მიგნება

საგანგებო სიტუაციების ცენტრი ახორციელებს პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამას,⁶² რომლის ფარგლებში ხარჯის მუხლით – „სოციალური დახმარება ფულადი ფორმით“ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემულია 24,706,316 ლარი. აღნიშნული თანხიდან 18,753,832 ლარი გადარიცხულია⁶³ სოფლის ამბულატორიებში დასაქმებულ ექიმებსა და ექთნებზე,⁶⁴ ხოლო 5,952,484 ლარი გადახდილია სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებისათვის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. გაწეული ხარჯი, შინაარსიდან გამომდინარე, კლასიფიცირდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლის შესაბამის ხარჯად. აქედან გამომდინარე, ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების ხარჯების – „სოციალური დახმარების“ მუხლი 24,706,314 ლარით გაზრდილად არის წარდგენილი და იმავე თანხით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯი.

საგანგებო სიტუაციების ცენტრს 2016 წლის 1 იანვრიდან „მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე⁶⁵ ავტომატურად საწვავის სახით ერიცხება 225,691 ლარის ღირებულების 124,613 ლიტრი ბენზინი და 103,536 ლარის ღირებულების 57,077 ლიტრი დიზელის საწვავი.⁶⁶ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების თანახმად, მარაგები ფიზიკურად არ არსებობს. საწვავის გაფლანგვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.⁶⁷ აღნიშნული აქტივები აღრიცხულია საგანგებო სიტუაციების ცენტრის 2020 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების „მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე, მაშინ როცა მათი ფიზიკური არარსებობის გამო, როგორც აქტივების დანაკლისი უნდა აღრიცხულიყო „სხვა

⁶¹ 2016 წლის 29 დეკემბრის N28 ხელშეკრულება; 2020 წლის 8 იანვრის N114 მოხსენებითი ბარათი; 2020 წლის 6 იანვრის N28 ინსპექტირების აქტი.

⁶² სახაზინო კოდი: 27 03 03 07 01.

⁶³ საქართველოს მთავრობი 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები“, მუხლი 3, პუნქტი 2 (სოფლის ექიმი) და მუხლი 4, პუნქტი 8; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი, 10¹ მუხლი, პუნქტი 2, „დ“ ქვეპუნქტი.

⁶⁴ თვეში, საშუალოდ, 2,600 ფიზიკური პირი.

⁶⁵ N 1-14-0000.

⁶⁶ ბენზინისა და დიზელის საწვავის ტალონები და ბარათები.

⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება N088091215801 სისხლის სამართლის საქმეზე.

**კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა**

მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებში⁶⁸ ანგარიშზე – მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით.⁶⁹
საგანგებო სიტუაციების ცენტრი.

⁶⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქცია“, მუხლი 10, პუნქტი 1.

⁶⁹ შენიშვნა N4, ანგარიში N1-15-5000.

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

3.1 ბიუჯეტში თანხის გადახდის ვალდებულება

აუდიტის მიგნება

კანონმდებლობის შესაბამისად⁷⁰ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მილიონ ლარს, ვალდებულია მის მიერ 2020 წელს მობილიზებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების არანაკლებ 10% მიმართოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

საგანგებო სიტუაციების ცენტრის მიერ, აღნიშნული კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულია მხოლოდ 190,000 ლარი.⁷¹ საანგარიშო წელს სულ მობილიზებულია 2,171,738 ლარი.⁷² შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას ექვემდებარებოდა 217,174 ლარი, დამატებით გადასარიცხია – 27,174 ლარი.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

საგანგებო სიტუაციების ცენტრი.

⁷⁰ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი, მუხლი 35 და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12, პუნქტი 4.

⁷¹ 2020 წლის 31 დეკემბერი.

⁷² ქ. თბილისის სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის რეორგანიზაციის შემდგომ, საგანგებო სიტუაციების ცენტრზე მიერთების შემდეგ, მის საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი - 302,556 ლარის ოდენობით, 2020 წლის 11 აგვისტოს ჩაირიცხა საგანგებო სიტუაციების ცენტრის საკუთარი შემოსავლების საბანკო ანგარიშზე, რისი გათვალისწინებითაც: 2,721,738 ლარი - 550,000 ლარი = 2,171,738 ლარი - სადეპოზიტო ანგარიშიდან გადმოტანილი 550,000 ლარის გარეშე.

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სამინისტროს ხელმძღვანელობამ ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა ჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირებას, საბალანსო ერთეულების მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების ურთიერთშედარებას და ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირებას, შედეგად კი, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან წარდგენას. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური აპარატისა და სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	დევნილთა სააგენტოს და ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს აქტივების შესახებ სრული ინფორმაციის მოძიება (საკადასტრო კოდი, დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საკუთრების უფლების შესახებ ინფორმაცია), განახორციელოს ქონების სრული და ანალიზური აღრიცხვა შესაბამისი ფართების და ღირებულების მიხედვით, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, საკითხი განმარტოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	დევნილთა სააგენტოში, სააგენტოსა და ცენტრალურ აპარატში ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს მოცემული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს. შეუსრულებელი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, დევნილთა სააგენტომ და ცენტრალურმა აპარატმა შეიმუშაონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მხარეთა შორის ეფექტიან კომუნიკაციას და პირველადი დოკუმენტაციის და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულ მიმოცვლას.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ლალი სეხნიაშვილი ჯგუფის უფროსი ელფოსტის მისამართი: l.sekhniashvili@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE